



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2015 წლის 31 ივლისის
№ 1648 დადგენილებით

მოდულიზებულია

სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2016 წლის 19 მაისი
დადგენილება № 2005

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი

პროგრამის ხელმძღვანელი: მარიამ ყავრელიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: 0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77
ტელეფონები: 2335258

თბილისი
2015 წ.

I. პროგრამის სახელწოდება:
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი

II. სარეგისტრაციო ნომერი
07101 -3

III. პროფესიული კვალიფიკაციის დონე:
მესამე

IV. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:
კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

V. საკანონმდებლო ბაზა:
– საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
– ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო
– კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორის პროფესიული სტანდარტი

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
საბაზო განათლება

VII. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საპროექტო ორგანიზაციებში; მერიის შესაბამის სამსახურებში; ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამის სამსახურში; სამშენებლო, სამანქანათმშენებლო და სხვადასხვა საინჟინრო კომპანიებში.

კურსდამთავრებულს აქვს უნარი საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.

მიღებული ცოდნა საშუალებას აძლევს აითვისოს უფრო მაღალი დონის საგანმანათლებლო პროგრამები. დამოუკიდებლად გაიფართოოს ცოდნა კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების საკითხებში. გამოიყენოს კომპიუტერული დაგეგმარების და არქიტექტურული ინფორმატიკის საშუალებები სხვადასხვა დანიშნულების პროექტების ტექნიკური შესრულებისთვის.

VIII. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება შემდეგი კომპეტენციები: კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნა, საინჟინრო გრაფიკული, კონსტრუქციული და სამანქანათმშენებლო ნახაზების შესრულება და ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემების მართვა. არქიტექტურული და

სამშენებლო ობიექტების, გარემოს ორგანოზომილებიანი და სამგანზომილებიანი (2D, 3D) მოდელირება, ვიზუალიზაცია და ანიმაცია; საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. რასტრული გამოსახულების დამუშავება.

შემოქმედებითი მიდგომა ინოვაციური ამოცანების ამოხსნის და დანერგვის საკითხებში. განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად; კონკრეტული პროფესიული დარგის სპეციფიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენება. მცირე ინდივიდუალური მეწარმეობა.

IX. სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

ობიექტის გამოხაზვა გრაფიკული ტრადიციული მეთოდით;
 კომპიუტერულ პროგრამაში ნახაზის ელექტრონული ვერსიის შესრულება;
 სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო მოწყობილობების მზადყოფნაში მოყვანა;
 საპროექტო დოკუმენტაციის ფორმირება.

X. პროგრამის მოცულობა კრედიტებში და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 82 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 20 სასწავლო თვე

XI. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

| სავალდებულო ზოგადი მოდულები | | სავალდებულო პროფესიული მოდულები | | არჩევითი პროფესიული მოდულები | |
|-----------------------------|---------|--|---------|--|---------|
| დასახელება | კრედიტი | დასახელება | კრედიტი | დასახელება | კრედიტი |
| კომუნიკაცია | 2 | გაცნობითი პრაქტიკა-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი | 2 | კომპიუტერულიქსელებიდააპარატურულიუზრუნველყოფა | 2 |
| რაოდენობრივი წიგნიერება | 2 | საწარმოო პრაქტიკა-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი | 8 | კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა ArchiCAD | 5 |
| საინფორმაციო ტექნოლოგიები | 2 | პრაქტიკული პროექტი-კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის ოპერატორი | 5 | გრაფიკული რედაქტორი Coreldraw | 3 |

| | | | | | |
|---------------------------------------|-----------|---|-----------|--|-----------|
| მეწარმეობა | 4 | საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT). | 5 | დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში (ვებპორტალის პროგრამიდან) | 2 |
| პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები | 1 | საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad -2 (3D მოდელირება). | 5 | საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა Revit Architecture - 3Dმოდელირება | 5 |
| უცხოური ენა | 4 | საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-3 ვიზუალიზაცია და ანიმაცია). | 3 | | |
| სამოქალაქო განათლება | 2 | სამგანზომილებიანი მოდელირება და ვიზუალიზაცია(3Ds Max). | 5 | | |
| | | გრაფიკული რედაქტორიPhotoshop CS | 3 | | |
| | | საინჟინრო გრაფიკა. | 3 | | |
| | | კონსტრუქციებიარქიტექტურაში | 3 | | |
| | | სამანქანათმშენებლო ხაზვა | 3 | | |
| | | არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები - 1 | 3 | | |
| სულ: | 17 | სულ: | 48 | სულ: | 17 |

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ პროგრამით დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მათ შორის ყველა სავალდებულო მოდულით

დადგენილი კრედიტი, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან მინიმუმ 15კრედიტი.

მოდირიცირებულია

სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს

სხდომაზე, ოქმი № 6 18.03.2016 წ.